



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 29 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №122/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- წარმომადგენლის --- 2019 წლის 5 ივლისს წარმოდგენილი №122 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 ივლისის წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 5 სექტემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ --- სასამართლოს მოსამართლე --- იხილავდა დავას, რომელიც ასევე განიხილება --- სასამართლოში. საჩივრის ავტორის განმარტებით, --- სასამართლოს მოსამართლე ვალდებული იყო შეეჩერებინა საქმის წარმოება უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე, თუმცა არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გააგრძელა საქმის განხილვა.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 5 თებერვალს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების - --- მიმართ, თანხის დაკისრების (--- ლარი) დაკისრების მოთხოვნით (მოსამართლე ---). სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, მოსარჩელეს განესაზღვრა 2 თვის ვადა სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების მიზნით. 2019 წლის 14 მაისს --- წარმომადგენელმა შესაგაბელი წარადგინა სასამართლოში. 2019 წლის 5 თებერვლის განჩინებით, --- წარმომადგენლის შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე არ დააკმაყოფილდა, რომელიც გასაჩივრდა 2019 წლის 11 თებერვალს.

2019 წლის 5 მარტის განჩინებით --- საჩივარი --- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინებაზე საქმის ასლებთან ერთად გადაიგზავნა --- სააპელაციო სასამართლოში. საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2019 წლის 25 მარტს, რომლის განხილვაც გადაიდო 2019 წლის 8 მაისს, ხოლო შემდგომი სხდომა გადაიდო 2019 წლის 26 ივნისს. საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისათვის.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოსამართლე --- წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც მოსარჩელეა ---, მოპასუხე ---, 2019 წლის 14 მაისს წარადგინა შესაგებელი სადაც იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, ვინაიდან მოპასუხეს აღძრული აქვს სარჩელი --- სასამართლოში და მიმდინარეობს განხილვა. 2019 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით, --- წარმომადგენლების, შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე შუამდგომლობის დაკმაყოფილების (უარის თქმის) შესახებ განჩინება/საოქმო განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის

ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, §68).

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- წარმომადგენლის -- -- №122 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

-- -- წარმომადგენლის -- -- 2019 წლის 5 ივლისის №122 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი